

შპს „ნიკე 2009“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2021წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, გორის საგადასახადო ინსპექცია ხაშურის მუნიციპალიტეტი 13,02,2008წ ს/ნ 243916615 კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. ხაშური იმერეთის ქ. #143, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი ღონღამე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი პ/557001006994. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თ უმასზე ნაკლებია, მინიმალურისა იჯაროგადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის

დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებაა მისი აღება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება და რიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებული ამე-19 შე-ნიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთი წლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე

ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული საღაროში		97133.71	226705.81
ფული საბანკო ანგარიშებზე		14930.47	150031.57
<i>სულ ჯამი</i>		112064.18	376737.38

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სავაჭრო მოთხოვნები	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 1	750817.47	608509.21
მოთხოვნები გინების მიწოდებიდან	288356.2	488356.2
<i>სულ ჯამი</i>	1039173.67	1096865.41

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
სასაძნელო--მატერიალური მარაგი	2118282.88	1882755.4
<i>სულ ჯამი</i>	2118282.88	1882755.4

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა	სხვა აქტივები	სულ ღირებულება
ბალანსი 01 იანვარი 2021	25000	232106	47196	42582	280036	185829	812749
დამატება		150408.3	331				
გასვლა							
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	25000	382514.3	47527	42582	280036	185829	963488
ცვეთა							
ბალანსი 01 იანვარი 2020		159826	39605	27374	32671	181082	440558
წლის დარიცხული ცვეთა		33237	1631	6083	18669	960	60580
გასვლა							
ბალანსი 31 დეკემბერი 2020		193063	41236	33457	51340	182042	501138
ნარჩენი ღირებულება							
01.იანვარი 2021		72280	7591	15208	247365	4744.6	347189
31 დეკემბერი 2021წ		189451.3	6291	9125	228696	3784.6	437348

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	389696.56	164441.14
არარეზიდენტი მომწ. და მომს. წარმოქმნილი ვალდებულებები	24868.52	2608.3
მიღებული ავანსები	141180.4	
გადახდების ავანსი		133369.74
სულ ჯამი	555745	295203

10. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2020	31.12.2020
გადასახდელი ხელფასები		425123.95	328 000.00
სულ ჯამი		425123.95	328000.00

11. სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი სესხები	1908304.47	2102664
სულ ჯამი	1908304.47	2102664

12. სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 12		
სხვა ვალდებულებები		
	31.12.2021	31.12.2020
სხვა ვალდებულებები	22310.97	9307.15
სულ ჯამი	22310.97	9307.15

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	200	200
სულ ჯამი	200	200

14. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

	31.12.2021	31.12.2020
მოგება/ ზარალი		
გაუნაწილებელი მოგება	1253066.85	993 174.31
დაუფარავი ზარალი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		
სულ ჯამი	1253066.85	993174.31

15. საქონლიდან გაყიდვები

	31.12.2021	31.12.2020
საოპერაციო შემოსავლები	8901204.61	7468786.61
<i>სულ ჯამი</i>	<i>8901205</i>	<i>7468787</i>

16. რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება

	31.12.2021	31.12.2020
გაყიდვების თვითღირებულება	7646188.29	6389166.89
	<i>7646188</i>	<i>6389167</i>

17. სხვა შემოსავალი

	31.12.2021	31.12.2020
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	53928.82	20315.48
<i>სულ ჯამი</i>	<i>53928.82</i>	<i>20315.48</i>

18. დასაქმებულთა ანაზრაურება

	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	298776.92	262809.15
<i>სულ ჯამი</i>	<i>298776.92</i>	<i>262809.15</i>

19. ცვეთა-ამორტიზაცია

	31.12.2021	31.12.2020
ცვეთა და ამორტიზაცია	60580.14	45386.69
<i>სულ ჯამი</i>	<i>60580.14</i>	<i>45386.69</i>

20. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
საპროცენტო ხარჯები	216104	161549.2
სულ ჯამი	216104	161549.2

21. იჯარის ხარჯი

	31.12.2021	31.12.2020
საიჯარო ძირა	126498.29	93393.22
სულ ჯამი	126498.29	93393.22

22. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
მიმდინარე საქმესკლავატაციო რემონტის ხარჯი	69555.41	51252.84
სხვა საოპერაციო ხარჯები	7523.8	5081.72
სოციალური დანარიცხები	6590.26	1487.09
საოფისო ხარჯი	1399.58	1800.24
სამეურნეო ხარჯი	2735.39	3369.16
ხანგრძლივობის დაზღვევა	2068.07	25632.2
სანავის ხარჯი	40265.59	9604.24
მივლინების ხარჯი	71389.99	6679.46
საქონლულტაციო ხარჯები	8823.72	26702.86
სხვა საბადასახადო ხარჯი	6782.28	58923.08
ბანკის მომსახურების ხარჯი	27703.04	
სულ ჯამი	332268.53	190532.89

23. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
დადებითი საკურსო სხვაობა	5104.92	10364.08
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-7551.17	-16776.3

სულ ჯამი	-2446.25	-6412.22

24. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	31.12.2021	31.12.2020
სსკ-თ გამოუძენი სარკი	12307.87	50392
სულ ჯამი	12307.87	50392

25. სანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2022 წლის 2 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ღონღაძე:



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615


ფინანსური მდგომარეობა 2021წ

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	112 064	376 737
სავაჭრო მოთხოვნები	6	1 039 174	1 096 865
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0		
მარაგები	7	2 118 283	1 882 755
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	0		-
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	0		-
ძირითადი საშუალებები	8	895 231	372 190
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		4 164 752	3 728 548
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	9	555 745	295 203
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	425 124	328 000
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	1 908 304	2 111 034
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	12	22 311	937
სულ ვალდებულებები		2 911 485	2 735 174
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	200	200
საემისიო შემოსავალი			

გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	14	1 253 067	993 174
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები	0		
სულ საკუთარი კაპიტალი		1 253 267	993 374
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4 164 752	3 728 548

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონდაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2021წ

ნეტო ამონაგები		8 901 205	7 468 787
საქონლის გაყიდვიდან	15	8 901 205	7 468 787
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(7 646 188)	(6 389 167)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1 255 016	1 079 620

სხვა შემოსავალი	17	53 929	20 315
დასაქმებულთა ანაზღაურება	18	(298 777)	(262 809)
ცვეთა და ამორტიზაცია	19	(60 580)	(45 387)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	20	(216 104)	(161 549)
იჯარის ხარჯი	21	(126 498)	(93 393)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	22	(332 269)	(190 533)
სულ საოპერაციო ხარჯები		(980 299)	(733 356)

საოპერაციო მოგება		274 717	346 264
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			

სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	23	(2 446)	(6 412)
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	24	(12 308)	(50 392)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		259 963	289 460
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		259 963	289 460

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		259 963	289 460

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		993 175	704 003
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(71)	(288)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 253 067	993 175

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონდაძე
მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი

შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2021წ

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		217 131	144 276
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(481 804)	(384 336)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(264 673)	(240 060)
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		376 737	136 677
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		112 064	376 737

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონდაძე
მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი